ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3238132

ნომერი: AR1480212

თარიღი : 20.02.2017

გაცემის თარიღი : 04.05.2017

გაცნობის თარიღი : 25.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 5-7 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 11 , (ნაკვ. 03/100) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 5-7 / ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვის , N 38 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამაზ ჯალიაშვილი პ/ნ 35001018394
- რუსთავი მშენებელთა ქ. კორ. 4 ბ. 3

ორგანიზაცია:
- შპს ისეკო კოდი: 406027838

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 20 თებერვლის #AR1480212 განცხადებით მომართა თამაზ ჯალიაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, ახალი საკადასტრო ერთეულების დაფიქსირების მიზნით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა

შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2010 წლის 10 ნოემბერს #01.19.34.003.057 (ფართობი 27600 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე სასაწყობო და საწარმოო შენობა–ნაგებობების (არსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია) განთავსების მიზნით დამტკიცდა #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2013 წლის 23 სექტემბრის #911008 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდა: 4154.00 კვ.მ. და 24612.00 კვ.მ, ხოლო საკადასტრო კოდებად მიეთითა: #01.19.34.003.134 და #01.19.34.003.133.
ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 სექტემბრის #2187243 ბრძანებით ცვლილება შევიდა და მიწის ნაკვეთის ფართობად მიეთითა - 8437.00 კვ.მ. და 23457.00 კვ.მ, საკადასტრო კოდად დაფიქსირდა - #01.19.34.003.154 და #01.19.34.003.152; დაემატა ახალი საპროექტო ობიექტი – #01.19.33.003.154 საკადასტრო ერთეულზე შენობა #11/1 და შენობა #12/1-ს რეკონსტრუქცია.
დღევანდელი მდგომარეობით განხორციელებულია საკადასტრო ერთეულების კონფიგურაციის, ფართობის და საკადასტრო მონაცემების ცვლილება. ვინაიდან შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, ი ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.19.34.003.163; ფართობი 23136კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი: #882017052308, რეგისტრაციის თარიღი: 26/01/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882017052308, რეგისტრაციის თარიღი 26/01/2017წ.); საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.19.34.003.168 ფართობი 8758კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017020539, რეგისტრაციის თარიღი 20/01/2017წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882017020539, რეგისტრაციის თარიღი 20/01/2017წ.);
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შენიშვნის სახით დაფიქსირდეს: დაცული იქნეს საკადასტრო გეგმებზე დატანილი სერვიტუტი.
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატის დოკუმენტი: ფუნქციურ ზონებს შორის სქემატური ნახაზი (იხილეთ დანართი);
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის #1626 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.